EUMM

დამკვირვებელი

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა • გამოცემა #7 • ოქტომბერი 2018

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია...

საქართველოში უწყვეტი ყოფნის ათი წელიწადი

2018 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეათე წლისთავი აღინიშნა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ დაარსდა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებით, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით, აქ საწყისი ერთწლიანი ვადით სულ ცოტა 200 სამოქალაქო დამკვირვებელი უნდა განეთავსებინათ. მას შემდეგ მისიის მანდატის ვადა რამდენჯერმე გახანგრძლივდა, რაც ნათლად მეტყველებს ევროკავშირის მიერ რეგიონალური სტაბილურობის მიმართ აღებულ პასუხისმგებლობაზე.

ჩვენი ექსპერტები მონიტორინგს უწევენ 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამდგომლობით დადებული ექვსპუნქტიანი შეთანხმების პირობების დაცვას. აღნიშნულ შეთანხმებას საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მხარეებმა ევროკავშირის შუამდგომლობით მოაწერეს ხელი. მისი განხორციელება დაწვრილებითაა გაწერილი მოგვიანებით შედგენილ დოკუმენტში, რომლის სათაურია „შეთანხმება 2008 წლის 8 სექტემბრის ღონისძიებების განხორციელების შესახებ“. შემდგომში საქართველოს სხვადასხვა წამყვან უწყებასთან ხელი მოეწერა დამატებით ტექნიკურ შეთანხმებებს, რომლებშიც განსაზღვრულია საქართველოს მიერ სტაბილურობისა და გამჭვირვალობის მხრივ აღებული კონკრეტული ვალდებულებები.

მისია ამოქმედების პირველივე დღიდან სადღეღამისო რეჟიმში კვირაში შვიდი დღის განმავლობაში სადღეღამისო რეჟიმში პატრულირებს. მისიის მანდატი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, მათ შორის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე.

სამწუხაროდ, მისიას დღემდე არ მიეცა ზემოაღნიშნულ რეგიონებში მანდატით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების საშუალება. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მთელი საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენებისთვის თვალყურის დევნების მიზნით მისიამ მის ხელთ არსებული ყველა სადამკვირვებლო საშუალება გამოიყენა. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში მან თავისი სამუშაო მექანიზმები შედარებით მეწინავე ტექნოლოგიების თანდათანობით დანერგვით გაამდიდრა. რაც შეეხება დამკვირვებლების მიერ წარმოებულ პატრულირებას, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ფოკუსირებულია ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე, რომელიც გამოყოფს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას თვითაღიარებული რეგიონებისგან.

მისიის საქმიანობა დაიწყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანაზე მეთვალყურეობით. ამის კულმინაცია იყო 2010 წლის ოქტომბერში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მდებარე სოფელ პერევიდან რუსეთის ძალების გაყვანა.

> *უპირველესი და უმნიშვნელოვანესი დავალება, რომელიც მისიას თავისი არსებობის პირველ დღეებში უნდა შეესრულებინა, კონფლიქტის შემდეგ სამარი ქმედებების შეწყვეტის უზრუნველყოფის ხელშეწყობა იყო.*

თუმცა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან შეიარაღებული

სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ფიზიკური ბორდერიზაცია მოიცავს 60 კმ-ზე მეტ სიგრძეზე გაჭიმულ უსაფრთხოების ღობეებს, 20 კმ სიგრძეზე განთავსებულ სათვალთვალო ტექნიკას, 200-ზე მეტ ნიშანს წარწერით „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვარი“, რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების 19 ბაზას და ოთხ კონტროლირებად გადაკვეთის პუნქტს.

სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ფიზიკური ბორდერიზაცია მოიცავს 30 კმ-ზე მეტ სიგრძეზე გაჭიმულ ღობეებს, სამეთვალყურეო კოშკურებს, საიდანაც კონტროლდება ადმინისტრაციული საზღვრის დაახლოებით 25 კმ-იანი მონაკვეთი, რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეთა 19 ბაზა და ორი კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტი.

შეტაკებებისა და სროლის შემთხვევებს ჯერ კიდევ 2012 წელს ჰქონდა ადგილი. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყოფნისა და სადამკვირვებლო საქმიანობის შედეგად ამ შემთხვევების რიცხვი თანდათან შემცირდა.

2008 წლიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში ევროკავშირის 28-ვე ქვეყნის წარმომადგენელმა 1,700-ზე მეტმა ხელშეკრულებით დაქირავებულმა და მოვლინებულმა თანამშრომელმა იმსახურა, რაც ცხადჰყოფს მისიის აქტივობების ძალიან მტკიცე მხარდაჭერას - როგორც პოლიტიკურად, ისე რესურსების მხრივ. დღესდღეობით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას უკვე 65,000-ზე მეტი პატრულირება აქვს ჩატარებული. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ევროკავშირის დედაქალაქებისა და უწყებების ინფორმირება მთელ რიგ საკითხებზე - დაწყებული სამხედრო დინამიკით და დამთავრებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების სოციო-ეკონომიკური პირობებით. ამის შედეგად ევროკავშირის ორგანიზაციებისა და წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილების მიმღები პირები იღებენ საჭირო ინფორმაციას კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად.

ამას გარდა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მოიპოვა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე და მის მიღმა მიმდინარე მოვლენების შესახებ სანდო ინფორმაციის წყაროს რეპუტაცია საერთაშორისო საზოგადოების უფრო ფართო მასისთვის.

ევროკავშირი ადგილზე ერთადერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაა, ვინაიდან გაეროს (UNOMIG) და ეუთოს (ეუთოს მისია საქართველოში) მიერ წარგზავნილი მისიები 2009 წელს შეჩერდა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ინფორმაციის შეგროვებასა და ანგარიშგებას „ოპერატიული მიუკერძოებლობის“ პრინციპით ახორციელებს. ანგარიშგება ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს და მიუკერძოებელი უნდა იყოს.

ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საპატრულო ჯგუფებისა და დამკვირვებლების მუდმივ ყოფნას უდავოდ მასტაბილიზებელი და ნდობის აღმდგენი ეფექტი აქვს. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია რეგულარულ საპატრულო სქემებს იყენებს და პოტენციურ ცხელ წერტილებში საპატრულო ჯგუფის გაგზავნა ზუგდიდში, გორში და მცხეთაში მდებარე თავისი სამივე რეგიონალური ოფისიდან შეუძლია. ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებზე ხილვადი ყოფნის შენარჩუნებით მისიამ კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას უსაფრთხოების შეგრძნება შემატა. ეს შეგრძნება კიდევ უფრო გაიზარდა მისიის მიერ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების ორივე მხარეს მყოფ მხარეებს შორის დიალოგის, ნდობისა და თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით წარმოებული სხვადასხვა აქტივობის შედეგად.

ადგილზე ათწლიანი უწყვეტი ყოფნის განმავლობაში მისია გახდა იმის მოწმე, თუ როგორ გაუმჯობესდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვითარება 2008/2009 წლის სიტუაციასთან შედარებით, როცა ადმინისტრაციულ საზღვართან საქართველოს პოლიციის თანამშრომლები იღუპებოდნენ და შავდებოდნენ. დღესდღეობით არსებულ მეტნაკლებად სტაბილურ ვითარებასთან შედარებით წარსულში საკმაოდ ხშირი იყო სროლის შემთხვევები. ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე დღემდე არსებობს სერიოზული გამოწვევები და კონფლიქტიც მოუგვარებელი რჩება. თუმცა ის, რომ ადგილი აღარ აქვს შეტაკებებსა და შეიარაღებულ დაპირისპირებას, თავისთავად უკვე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, შედარებითი სტაბილურობა დამყარდა კონფლიქტის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული მოსახლეობისთვის - განსაკუთრებით კი ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობის წინაშე არსებული მუდმივად მზარდი გამოწვევების ფონზე. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მათი თავისუფალი გადაადგილების თავისუფლებამ, ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა და ძირითადმა უფლებებმა საკმაო წნეხი განიცადა. მიმდინარე მოვლენებმა ზიანი მიაყენა მათი სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებისა და საკუთრების უფლების დაცვის უნარს, რაც მათ უზღუდავს ღირსეული შემოსავლისა და ბავშვების თავიანთ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობებს.

ერთერთი ძირითადი დინამიკა, რომელსაც მისია 2009 წლიდან ყურადღებით ადევნებს თვალს, არის ე.წ. „ბორდერიზაცია“ - საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რეგიონებთან დე-ფაქტო სახელმწიფო „საზღვრების“ გავლების პროცესი. რუსეთის ფედერაციას და ცხინვალისა და სოხუმის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს აქვთ ამბიცია დააწესონ მკაცრი შემოწმება და კონტროლი თვითაღიარებული რეგიონების მთლიან ტერიტორიაზე.

„ბორდერიზაცია“ მოიცავს სამ ძირითად ელემენტს:

(1) ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა აიძულონ მგზავრებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და ტვირთის გადამზიდავებს, ისარგებლონ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე დაწესებული სპეციალური „კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტებით“;

(2) რუსი მესაზღვრეების ან თვითგამოცხადებული რეგიონების უშიშროების სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ თვალთვალი და პატრულირება, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სიტუაციას და აკავებენ დადგენილი „წესების“ დამრღვევ პირებს,

(3) გადაკვეთის რეჟიმი, რომელიც მგზავრებს ავალებს იქონიონ სპეციალური საბუთები და გამოიყენონ მხოლოდ „ოფიციალური“ გადაკვეთის პუნქტები.

2009 წლიდან თანდათან დაიწყო ფიზიკური დაბრკოლებების აღმართვა და სხვა ზომების მიღება ადამიანებისთვის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის თავისუფალი გადაკვეთის საშუალების აღკვეთის მიზნით. ფიზიკური ინფრასტრუქტურა მოიცავს მავთულხლართებს, თვითგამოცხადებული „რესპუბლიკების“ ე.წ. „საზღვრებთან“ მოახლოების შესახებ გამაფრთხილებელ ნიშნებს, სამეთვალყურეო კოშკურებს და მეწინავე სათვალთვალო ტექნიკას. წლების განმავლობაში ამ თანდათანობით მზარდი პროცესის შედეგად ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში სულ უფრო გაუვალი და დაცული გახდა. 2016-2017 წლებში აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე სამი გადამკვეთი პუნქტის დახურვა გადაკვეთის მსურველი ადგილობრივი სოფლების მოსახლეობისთვის დიდ პრობლემად იქცა, დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ მიღებული რიგი შემარბილებელი ზომების მიუხედავად.

„ბორდერიზაციის“ პროცესს მოჰყვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ბაზების მშენებლობა და რუსი მესაზღვრეების განლაგება. რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეები ის მთავარი ძალაა, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ე.წ. „საზღვრების“ დაცვაზეა პასუხისმგებელი.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა უარყოფითად აისახება ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები სოფლის მოსახლეობის საარსებო წყაროებზე. ამის შედეგად იზღუდება ადამიანებისთვის ქონებასთან, სავარგულებთან, სამედიცინო მომსახურებასთან, სალოცავებთან, განათლებასთან და მართლმსაჯულებასთან წვდომა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, თანდათანობითი ბორდერიზაციის შედეგად სოფლის მოსახლეობისთვის მიუწვდომელი გახდა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარედ ან მის ორივე მხარეს არსებული მიწის ნაკვეთები. დიდი ზიანი მიადგა საქონლის სეზონური გადარეკვის პროცესს, რამაც ერთერთი ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველი ფენა შემოსავლის გარეშე დატოვა.



უკვე ათი წელია მისია აგრძელებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლებისა და დაკავებულ ადამიანთა, განსაკუთრებით მოხუცებულთა და ბავშვთა მიმართ ჰუმანიტარული მიდგომის ხელშეწყობას. ადგილობრივ მოსახლეობას თავისუფლად უნდა შეეძლოს თავიანთი ცხოვრების წარმართვა ყოველგვარი შიშისა და ზედმეტი დაბრკოლებების გარეშე. მისია ასევე ყურადღებით ადევნებს თვალყურს მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც ეხება საკუთარ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას, ასევე ინიციატივებს, რომლებსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ისეთ ძირითად უფლებებს, როგორიცაა საკუთრების უფლება და გამოხატვის თავისუფლება.

მისიის მანდატში თავიდანვე ცენტრალური ადგილი ეჭირა ნდობის აღდგენას.

ბორდერიზაციის შედეგად წლების განმავლობაში მრავალი ადამიანის დაკავება მოხდა. ადმინისტრაციული ხაზის გადამკვეთი მშვიდობიანი მოსახლეობის დაკავება კვლავაც სერიოზული შეშფოთების საბაბს იძლევა - 2018 წლის დასაწყისიდან ადამიანთა დაკავების საქმეებზე ცხელი ხაზი სულ ცოტა 650-ჯერ იქნა გააქტიურებული. სადაც ამის საშუალება აქვს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ცხელი ხაზისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრების მეშვეობით ცდილობს ამ და სხვა საკითხების გადაწყვეტას.

მისია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის ხელთ არსებული კომუნიკაციის ორი არხის მართვასა და ხელშეწყობაში. პირველი მათგანია ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები, ხოლო მეორე - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ მართული სატელეფონო ცხელი ხაზი. ორივე მათგანი სტაბილურობის მართვისა და ომის შედეგად დაზარალებული ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს.



მას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მას შემდეგ, რაც შემუშავდა მექანიზმები, რომლებიც საქართველოს, რუსეთსა და თვითაღიარებულ რეგიონებს შორის კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის გასაუმჯობესებლად შემუშავდა.

არსებობს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ორი მექანიზმი - ერთი შეხვედრა ჩვეულებრივ გალში იმართება და მასზე აფხაზეთში მიმდინარე საკითხები წყდება, ხოლო ერგნეთში ჩატარებულ შეხვედრაზე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მომხდარი მოვლენები და ინციდენტები განიხილება. გალის შეხვედრები გაეროს თავმჯდომარეობით იმართება, თუმცა მასზე მონაწილის სტატუსით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც არის წარმოდგენილი. ორივე ფორმატი 2009 წელს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე მიღებული შეთანხმებით ამოქმედდა. აღნიშნული ფორმატი დაწესდა 2008 წლის ომის შემდეგ კონფლიქტის შედეგების მოგვარების მიზნით.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი ითვლება არაპოლიტიკურ მექანიზმად, სადაც მიმდინარე პრობლემების განსახილველად ერთმანეთს ხვდებიან ადგილებზე ზოგადად უსაფრთხოებისა და კონკრეტულად ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ჩართული პირები. აქ ასევე განიხილება ის, თუ როგორ უნდა მოხდეს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მცხოვრები ადამიანებისთვის ინციდენტებისა და ახალი პრობლემების თავიდან არიდება. პირისპირ კომუნიკაციისთვის ღირებული ფორმატის უზრუნველყოფის გარდა, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებს შედეგად მოჰყვა არაერთი პრაქტიკული მიღწევა, დაწყებული ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს მყოფი მხარეების თანამშრომლობის შედეგად დაკავებულ პირთა გათავისუფლებით და დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე და ადგილობრივ მაცხოვრებელთათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარის წარმომადგენლების თანამშრომლობით. ამასთან, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები უკანასკნელი ათი წლის მანძილზე უამრავი გამოწვევის წინაშე დადგა. მათ შორის იყო შეხვედრის ხანგრძლივი დროით შეწყვეტა მნიშვნელოვან საკითხებზე წამყვანი მონაწილეების უთანხმოების გამო. დღესდღეობით ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები, რომლებიც აუცილებელია ადგილებზე უსაფრთხოების სიტუაციის სამართავად, კვლავ შეჩერებულია.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების დროებითი შეჩერების მიუხედავად, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სხვადასხვა მხარეებს შორის კომუნიკაციისთვის მუდმივად გამოიყენება სხვა მუდმივი და მეტად ეფექტიანი საშუალებები. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მხარეებს შორის კომუნიკაცია პოლიტიკურ დონეზე პრინციპული უთანხმოებების მიუხედავად, 2009 წელს შეიქმნა ცხელი ხაზი.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ცხელი ხაზის ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობისა და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მეორე მხარისთვის შეტყობინებების გადაცემის საქმეში. ცხელი ხაზი მნიშვნელოვანი მექანიზმი გამოდგა ადგილზე მომხდარი მოვლენების განსახილველად.

ცხელი ხაზით სარგებლობის შემთხვევების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება და მაშინ, როცა 2009 წელს იგი სულ 30-ჯერ ამოქმედდა, 2017 წელს ამ მაჩვენებელმა 1,700 შეადგინა, რაც დღეში საშუალოდ 4.6 ზარს შეადგენს. სულ ათი წლის განმავლობაში ცხელი ხაზი 8,000-ჯერ იქნა გააქტიურებული. უსაფრთხოების სტრუქტურის ყველა წარმომადგენელს ჰყავს ცხელ ხაზზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახდენს ცხელი ხაზის გააქტიურებას ან რეაგირებს სხვებისგან მიღებული ინფორმაციის მოთხოვნებზე. ცხელი ხაზი მუშაობს სადღეღამისო რეჟიმში, კვირაში შვიდი

დღის განმავლობაში და საჭიროებისამებრ ხდება მისი დაუყოვნებლივ გააქტიურება. ცხელ ხაზზე ძირითადი განხილვის თემა ძირითადად დაკავებებს ეხება. მისია ხელს უწყობს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე დაკავებული სამოქალაქო პირების გათავისუფლებას მათ შესახებ ინფორმაციის მყისიერი გაცვლით. ცხელი ხაზის გააქტიურების სიხშირით მეორე შემთხვევაა გადაკვეთები სამედიცინო მიზნით. ეს ის შემთხვევებია, როცა ცხელი ხაზის მეშვეობით ხდება ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა, კერძოდ იმ პაციენტების ტრანსპორტირების კოორდინირებით, რომელთაც სამედიცინო დახმარება ესაჭიროებათ. ცხელი ხაზი ჩვულებრივ მთელ რიგ სხვა საკითხებსაც ეხება იმგვარად, რომ ყველა მხარეს ხელთ აქვს კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად საჭირო ფაქტები.

ცხელი ხაზის მეშვეობით განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა ბორდერიზაციის ახალი ფაქტები ან ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზის მახლობლად გაგონილი ქვემეხის გასროლის ხმა. აღნიშნული დიალოგის მექანიზმი მართლაც რომ ხელს უწყობს დაძაბულობის შემცირებას.

როგორც უკვე აღინიშნა, მისიას არ მისცემია სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში შესვლის საშუალება. შესაბამისად, მისიამ შეიმუშავა დაკვირვების სხვა საშუალებები და გამოიყენა ახალი ტექნოლოგიები ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე და თვითაღიარებულ რეგიონებში მომხდარი მოვლენებისთვის თვალყურის სადევნად. შეძენილ იქნა მანქანების მაღალ ანძებზე აღმართული კამერები, ხოლო მოგვიანებით - „დიდ სიმაღლეზე მოქმედი კამერა“, ანუ აეროსტატზე (მისაბმელ ზონდზე) აღმართული კამერა.

მისიის ყოფნამ, მისი საპატრულო ჯგუფების ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების უნარმა და ცხელი ხაზის მეშვეობით ყოველდღიურმა ეფექტიანმა კომუნიკაციამ შეუცვლელი როლი შეასრულა დაძაბულობის შემცირებასა და უსაფრთხოების მყიფე სიტუაციის მართვაში.

მისია დაარსების დღიდან ყურადღებით აკვირდება კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სიტუაციას. საპატრულო ჯგუფების, დაა წყაროების ანალიზისა და თანამგზავრის მიერ წარმოებული ფოტოგადაღების მეშვეობით მისია თვალყურს ადევნებს სამივე მიმართულებით მიმდინარე ვითარებას ადამიანის უფლებების სფეროში. მისია რეგულარულად აბარებს ანგარიშს მიმდინარე ბორდერიზაციისა და დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ წარმოებული სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც იგი თვითაღიარებულ ტერიტორიებზე კონტროლის მოსაპოვებლად მიმართავს. დაკვირვებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ადამიანის ძირითადი უფლებების ისეთი შეზღუდვების გაზრდით, როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება, თვითნებური დაკავებისგან თავისუფლება, აღმსარებლობის თავისუფლება, განათლების ხელმისაწვდომობა, ოჯახური ცხოვრების უფლება და სხვ. მისია მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს იყენებს იმისთვის, რომ კონფლიქტის მხარეებთან ერთად ძალისხმევა მიმართოს ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სიტუაციის მიმართულებით და ამ მიზნით დროგამოშვებით მართავს ტექნიკურ შეხვედრებს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სისტემატური შეხვედრებისგან დამოუკიდებლად.

როგორც ევროკავშირის ერთერთი მისია, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც მტკიცედ უჭერს მხარს ქალების როლს როგორც საკუთრივ ორგანიზაციაში, ისე ზოგადად, კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია არის მისია, რომელიც უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის ფარგლებში ქალი თანამშრომლების ყველაზე მაღალი თანაფარდობით და მენეჯერთა ჯგუფში ქალთა ყველაზე მძლავრი წარმომადგენლობით გამოირჩევა. აღნიშნული ძალისხმევების გამო მისია ამ მხრივ საუკეთესო პრაქტიკის მისაბაძ მაგალითად აღიქმება და მის წარმომადგენლებს სისტემატურად ეპატიჟებიან სხვა მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში გამოცდილების გაზიარების მიზნით.

2008 წლის შემოდგომაზე ფართოდ გავრცელდა შეშფოთება საომარი ქმედებების განახლების რეალური საშიშროების გამო. დღესდღეობით, იმის მიუხედავად, რომ კონფლიქტი მოუგვარებელი რჩება, დაზარალებულ მოსახლეობაში იმატა უსაფრთხოების შეგრძნებამ, თუმცა გასაგები მიზეზების გამო, გარკვეული შიშები კვლავაც აქტუალური რჩება.

ინციდენტები ყოველდღიურად ხდება, მისია კი ასეთ გამოწვევებთან გამკლავებას გააგრძელებს მანამ, სანამ არ მოიძებნება კონფლიქტის გრძელვადიანი გადაწყვეტის გზა, რომელიც კონფლიქტის ყველა მხარეს დააკმაყოფილებს.



ინტერვიუ მისიის ხელმძღვანელთან

ბატონი ერიკ ჰოგი დაწვრილებით საუბრობს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის აქტივობების, მიღწევების, შედეგებისა და გამოწვევების შესახებ

ბ-ნო ჰოგ, თქვენი აზრით, რამდენად ნაყოფიერია უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მისიის მიერ ჩატარებული სამუშაო? მოიტანა თუ არა მან კონკრეტული შედეგები?

მისია აგრძელებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას იმაში, რომ თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რეგიონებს შორის გამავალი ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების მახლობლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა უსაფრთხო და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ბ-ნი ერიკ ჰოგი ადგილობრივ ტელეარხებს ესაუბრება სპეციალური პრიზის შესახებ პრიზის გაცემის ცერემონიამდე 2017 წლის დეკემბერში

საომარი ქმედებები არ განახლებულა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ კი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საკუთრივ ადგილზე ყოფნით და დღე და ღამე, ნებისმიერ ამინდში უწყვეტი პატრულირების წყალობით. ის, რომ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე ყოველდღიურად არ ხდება ინციდენტები, ბევრს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია, მე კი ასე არ ვფიქრობ. სიტუაციის სამართავად გარკვეული მექანიზმები გვჭირდება. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები ამჟამად სირთულეების წინაშე დგას, თუმცა სათანადოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ასეთი შეხვედრები გვაძლევს ისეთი მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საკითხების პირისპირ განხილვის საშუალებას, რომლებიც გავლენას ახდენს უსაფრთხოებაზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ მართული ცხელი ხაზი ძალიან დადებითი და ცალსახად წარმატებული მოვლენაა. მისი გააქტიურება ხდება ისეთი ინციდენტებისა თუ შემთხვევების დროს, რომლებიც სტაბილურობასა და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებთან მცხოვრები ადამიანების ცხოვრებას ეხება. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის „ტელეფონით დაძაბულობის მოხსნის“ საშუალება. მთლიანობაში, ადგილზე ყოფნის, უწყვეტი სადამკვირვებლო საქმიანობისა და ანგარიშგებისა და კომუნიკაციისა და დიალოგის მხარდაჭერით რეაგირების მზადყოფნით მისია მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სიტუაციის სამართავად.

ხომ ვერ გვიამბობდით იმ სირთულეების შესახებ, რომლებსაც ყოველდღიურ საქმიანობაში აწყდებით? ამასთან, რა ძირითადი გამოწვევების დაძლევას ისურვებდით?

როდესაც საკუთრივ მანდატის შესახებ ვსაუბრობთ, ამ მხრივ მთავარ პრობლემად რჩება ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობა, ვაწარმოოთ სადამკვირვებლო საქმიანობა თვითაღიარებულ რეგიონებში.

საქართველოში მისიის დაწყების პირველივე დღეებიდან სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შესვლის საშუალებას მოკლებული ვართ. ჩვენ ვაგრძელებთ ძალისხმევას, ხოლო ევროკავშირს აქვს ნათლად გაწერილი პოლიტიკა ჩვენი პასუხისმგებლობის არეალის შესახებ, რომლის ფარგლებშიც უნდა ვაწარმოებდეთ პატრულირებას - ეს მთელი საქართველოს ტერიტორიაა. რაც შეეხება ჩემს გუნდს, პირველ რიგში ყურადღებას ვამახვილებ მათ უსაფრთხოებაზე, სათანადოდ აღჭურვაზე და მომზადებაზე, რათა შეეძლოთ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან უსაფრთხოების მხრივ არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. ვითარება უდავოდ უკეთესობისკენ შეიცვალა იმ მხრივ, რომ მისიის დაწყების პერიოდთან შედარებით შემცირდა შეიარაღებულ პირებთან შეხვედრის და სხვა უშუალო საფრთხეების რისკი. 2009 წელს მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, როცა მისიის მხარდამჭერი ადგილობრივი თანამშრომელი პატრულირებისას დაიღუპა. გარკვეული რისკები კვლავ დარჩა. ჩვენს წინაშე არსებულ უსაფრთხოების პრობლემად ჩვენი რეგულარული პატრულირების რაიონებში დარჩენილი ნაღმები რჩება. ჩვენ ფოკუსირებული ვართ იმაზე, რომ 320 თანამშრომლისგან შემდგარი გუნდისთვის მაქსიმალური უსაფრთხოება ვუზრუნველყოთ.

ფიქრობთ თუ არა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ხელს უწყობს თვითაღიარებულ რეგიონებთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ სიტუაციის ესკალაციის თავიდან აცილებას? რამდენად რეალურია აღნიშნულ რაიონებში სიტუაციის მნიშვნელოვანი ესკალაციების რისკი?

დიახ. ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყოფნა უკვე თავისთავად პრევენციული ზომაა. მნიშვნელოვანი ესკალაციის რისკი ყოველთვის არსებობს, რამდენადაც ნაკლებად სავარაუდოდ არ უნდა ჩანდეს ეს დღევანდელი გადასახედიდან. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სიტუაციას მისია ახასიათებს, როგორც „მართულ სტაბილურობას“. ეს ნიშნავს იმას, რომ როგორც ინციდენტების რაოდენობა, ისე მათი რისკი დაბალია, მაგრამ ასეთ ვითარებას ასევე ადგილებზე მისიის ყოფნა და შესაძლო შემთხვევებზე მისი რეაგირების უნარი განაპირობებს. ჩვენ შეგვიძლია სწრაფად გადავისროლოთ დამკვირვებლები შემთხვევის ადგილას და ავამოქმედოთ ჩვენს ხელთ არსებული ნდობის აღდგენის მექანიზმები. ერთმანეთის ინფორმირების მიზნით მხარეები აქტიურად იყენებენ ცხელ ხაზს - 2018 წელს მისი გააქტიურება საშუალოდ დღეში ექვსჯერ ხდება. ამასთან, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მყოფი მხარეები ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებზე, რომელიც ჩვეულებრივ ყოველთვიურად იმართება.

დაბოლოს, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მისია საჭირო აღარ იქნება. იმედი გვაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოიძებნება კონფლიქტის გადაწყვეტის გასაღები, რაც ჩვენნაირი მისიების ადგილზე ყოფნის საჭიროებას გააბათილებს. მანამდე კი, ჩვენი მისია გააგრძელებს დღე და ღამე პატრულირებას, რითაც ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას.

მისიების ხელმძღვანელები დასაბამიდან დღემდე

2008 და 2018 წლებს შორის...

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას სათავეში ევროკავშირის 5 სხვადასხვა დიპლომატი ედგა

ელჩი ჰანსიორგ ჰაბერი მისიის ხელმძღვანელად 2008 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის აპრილამდე იმუშავა. იგი გერმანელი დიპლომატია, რომელსაც მანამდე ჰქონდა ლიბანში, რუსეთში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება. ელჩმა ჰაბერმა საქართველო დატოვა 2011 წლის აპრილში და გადავიდა ბრიუსელში ევროკავშირის სამოქალაქო ოპერაციების მეთაურად და ევროკავშირის სამოქალაქო დაგეგმვისა და მეთაურობის ხელმძღვანელად. 2017 წლის სექტემბერში იგი გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აკრედიტირებული ელჩი სანაში (იემენი).

ელჩი ანდჟეი ტიშკევიჩი *(აწ გარდაცვლილი)* მისიის რიგით მეორე ხელმძღვანელად მუშაობდა 2011 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისამდე. ელჩი ტიშკევიჩი იყო პოლონელი დიპლომატი, მანამდე კი გენერალ-ლეიტენანტი (გადამდგარი). მისიაში მუშაობამდე იგი ერაყში მრავალეროვნული დივიზიის ცენტრალურ-სამხრეთი მიმართულების მეთაური გენერლის, პოლონეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის, ასევე ანკარაში (თურქეთი) თავდაცვის, სამხედრო და საზღვაო ატაშეს თანამდებობებზე ჰქონდა ნამსახურები.

ბ-ნი ტოივო კლაარი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში რიგით მესამე ხელმძღვანელის რანგში 2013 წლის სექტემბრიდან 2014 წლის დეკემბრამდე მუშაობდა. მანამდე ბ-ნ კლაარს, როგორც ესტონელ დიპლომატს ევროპულ საგარეო ქმედებათა სამსახურში ეკავა ცენტრალური აზიის განყოფილებისა და ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და კოორდინირების განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობები. ამჟამად იგი სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელია (EUSR).

ელჩი კიასტუტის იანკაუსკასი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის რიგით მეოთხე ხელმძღვანელად 2014 წლის დეკემბრიდან 2017 წლის აგვისტომდე მუშაობდა. ელჩი იანკაუსკასი არის პროფესიონალი დიპლომატი ლიეტუვიდან, რომელსაც მანამდე ეკავა ისეთი თანამდებობები, როგორიცაა ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცლერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, ევროკავშირში ლიეტუვის მუდმივი წარმომადგენლობის ელჩი ევროკავშირის პოლიტიკურ და უშიშროების კომიტეტში, აშშ-ის უშიშროების პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორი, თანამდებობები საგარეო საქმეთა სამინისტროში და სხვა მაღალი თანამდებობები. ამჟამად იგი მუშაობს ევროკავშირის დელეგაციის ელჩად აზერბაიჯანში.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ამჟამინდელი ხელმძღვანელია ბ-ნი ერიკ ჰოგი, დანიელი დიპლომატი, რომელიც ამ თანამდებობაზე 2017 წლის 19 დეკემბერს დაინიშნა. 2015 წლის აპრილიდან ბ-ნი ჰოგი მუშაობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მოადგილედ, ხოლო 2017 წლის 1 სექტემბრიდან უკვე მისიის მოქმედ ხელმძღვანელად მუშაობს. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში მუშაობამდე ბ-ნი ჰოგი 16 წლის განმავლობაში მუშაობდა დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი დიპლომატიის სფეროში. თავისი დიპლომატიური კარიერის განმავლობაში მას სხვადასხვა მენეჯერული პოზიციები ეკავა როგორც კოპენჰაგენში, ისე საზღვარგარეთის მისიებში, მათ შორის ნიუ-იორკსა და მოსკოვში.

2009 წლის ივნისი

საქართველოს მოქალაქის ტრაგიკული სიკვდილი, რომელიც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პატრულირების მხარდამჭერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანას მართავდა

მისიის დაარსების პირველი დღიდანვე ჩვენი პრიორიტეტია მისიის თანამშრომლებისა და ჩვენი მუშაობის მხარდამჭერი პერსონალის უსაფრთხოება. მისია ამზადებს თანამშრომლებს ტრენინგის, სათანადო დამცავი აღჭურვილობისა და უწყვეტ რეჟიმში უსაფრთხოების სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. უსაფრთხოების ასეთი ზომების დაცვის პირობებშიც კი ჩვენს სამუშაოს თან ახლავს რისკი. საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში ყოფნის პერიოდში მისია რამდენჯერმე აღმოჩნდა უშუალო საფრთხის წინაშე დამკვირვებლების პატრულირებისას. 2009 წლის ტრაგიკული შემთხვევა ფატალურად დასრულდა.

საქართველოში ყოფნის მე-10 წლისთავზე მისია იხსენებს ბ-ნი ავთანდილ ახალაძის ტრაგიკულ დაღუპვას. ბ-ნი ავთანდილი იყო საქართველოს მოქალაქე, რომელიც 2009 წლის 21 ივნისს დილით მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა. იგი მართავდა „მედიქლაბჯორჯიას“ სასწრაფო დახმარების მანქანას, რომელიც აფხაზეთთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მახლობლად, სოფ. ერისწყალში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პატრულირებას უწევდა მხარდაჭერას.

